BGS
ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

ნოემბერი / November 2025

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

გილოცავთ ჩვენი სკოლის მფარველი წმინდანის დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს!!

ტრადიციულად ამ დროს, ბრიტანეთიდან ჩვენი მოსწავლეების ზაფხულის სესიის საერთაშორისო საგამოცდო სერტიფიკატები მივიღეთ. ვულოცავ მოსწავლეებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს მაღალ შედეგებს.

ნოემბრის მოკლე სასწავლო თვის მიუხედავად, ბევრი საინტერესო და სახალისო სასწავლო, შემეცნებითი და სპორტული აქტივობა ჩატარდა როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ.

გთხოვთ, განაგრძეთ კითხვა, ნოემბრის თვის სიახლეებში ბევრ საინტერესოს აღმოაჩენთ . . .

Happy St. George’s Day!

We received certificates of British International Examination summer session 2025 from the UK. I would like to congratulate every student, their parents and teachers for such high results.

Despite a short academic month of November, various interesting and fun educational and sport activities were held both inside and outside of school.

Please continue reading about busy life of BGS...

საცდელი გამოცდები

Mock Examinations

ამ თვეში AS-ისა და A Level -ის პირველი საცდელი გამოცდები ჩატარდა. ეს გამოცდები საყურადღებოა როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისათვის, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. ნამუშევრები შესწორებულია, მასწავლებლები ინდივიდუალურად განიხილავენ შედეგებს მოსწავლეებთან. ახლა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც იციან რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება რეალური გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

The first mock examinations in AS and A Level subjects have already been taken. The results will be important for students and for teachers, since it will reveal their strong and weak points. The exam papers are being corrected. Teachers will discuss the results individually with each student. Both students and teachers will know which topics to revise and which skills should be paid more attention to.

თანადგომა

Solidarity

წლევანდელი შემოდგომის ფესტივალი, მართლაც, განსაკუთრებული იყო ბიჯიესში!

მთელი სკოლა - მშობლები, მასწავლებლები, დიდი თუ პატარა - დაირაზმა ყველასთვის საყვარელი მასწავლებლის დასახმარებლად.

მოგეხსენებათ, ბიჯიესელებისათვის ქველმოქმედება უცხო არ არის, მაგრამ ეს დღე სრულიად გამორჩეული იყო.

უღრმესი მადლობა ყველას ასეთი სამაგალითო თანადგომისათვის!

This year’s Autumn Festival at BGS was truly special!
The entire school - parents, teachers, young and old - came together to help our beloved teacher.
As you know, charity is nothing new for the BGS community, but this day was truly exceptional.
Our deepest gratitude to everyone for such an inspiring show of solidarity!

თანადგომა

Solidarity

თანადგომა

Solidarity

გასვლითი გაკვეთილი

Educational Field Trip

მეექვსე და მეხუთეკლასელები ესტუმრნენ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას პროექტის - “ქართული წიგნისა და პერიოდიკის ისტორია” ფარგლებში. გაეცნენ ბიბლიოთეკის ისტორიას, იხილეს ძველი ნაბეჭდი წიგნები, გაზეთები, დაათვალიერეს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და მცირე საცავი, ესტუმრნენ ილია ჭავჭავაძის მემორიალურ კაბინეტს. დაათვალიერეს იაკობ გოგებაშვილის წიგნების, მათ შორის დედაენისა და ბუნების კარის პირველი გამოცემები, ასევე ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი “ვეფხისტაყაოსანი”...

As part of the project “The History of the Georgian Book and Periodicals,” fifth and sixth grade students visited the National Library of Georgia. They learned about the history of the library, explored early printed books and newspapers, visited the reading halls and the special storage area, and toured Ilia Chavchavadze’s memorial study.

Students also viewed rare editions of Iakob Gogebashvili’s works, including the first editions of Dedaena and Bunebis Kari, as well as the famous The Knight in the Panther’s Skin printed at the printing house of Vakhtang VI.

რაზე ოცნებობენ ანდროიდები
What Do Androids Dream About?

მეცნიერების კვირეულის ფარგლებში, ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ უმასპინძლა გამოფენას - “რაზე ოცნებობენ ანდროიდები”. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური სიახლეები, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც პატარებში, ასევე უფროსებში.

ჩვენი მოსწავლეები შთაბეჭდილებით აღსავსენი დაბრუნდნენ.

As part of Science Week, the National Scientific Library hosted an exhibition titled “What Do Androids Dream About?” The exhibition showcased modern technologies and innovative advancements, which sparked great interest among both children and adults.
Our students returned full of enthusiasm and unforgettable impressions.

რაზე ოცნებობენ ანდროიდები

What Do Androids Dream About?

რაზე ოცნებობენ ანდროიდები

What Do Androids Dream About?

ღია კარის დღე

Open Day

14 ნოემბერს, ბიჯიესმა უმასპინძლა “ანაბელას” აღსაზრდელებს. პატარებმა დაამზადეს კერამიკული ნაკეთობები, ენერგიულად ჩაერთნენ მხიარულ სტარტებში და დააგემოვნეს უგემრიელესი ორცხობილები. მშობლები კი გაეცნენ ჩვენს სკოლას, პროგრამებსა და სასწავლო გარემოს.
დიდი მადლობა “ანბანელას” პედაგოგებს, პატარებსა თუ მშობლებს ამ ღონისძიებაში მონაწილეობისა და თანამშრომლობისთვის.

On November 14, BGS hosted the children of “Anbanela” Kindergarten for a special Open Day event. The young guests created ceramic artworks, enthusiastically took part in fun sports activities, and enjoyed delicious cookies. Meanwhile, parents had the opportunity to learn more about our school, academic programs, and learning environment.
We would like to extend our sincere thanks to the teachers, children, and parents of “Anabela” for their participation and cooperation.

TISS საფეხბურთო ლიგა

TISS Football League

მთელი თვის განმავლობაში ბიჯიესელები წარმატებით მონაწილეობენ TISS-ის საფეხბურთო ლიგაში. მოთამაშეთა შრომისმოყვარეობამ და მშობლების აქტიურმა მხარდაჭერამ გააძლიერა გუნდის ერთობა. დიდი მადლობა ჩვენს ბიჭებს ასეთი შემართებისათვის.

Throughout the month, BGS students have been successfully taking part in the TISS Football League. The players' dedication and the parents' active support have strengthened the team spirit even further.
Many thanks to our boys for their dedication and excellent performance.

Fire Drill

სახანძრო განგაში

ბიჯიესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას დიდი ყურადღება ეთმობა, შესაბამისად, სკოლის სტადიონზე სისტემატურად ეწყობა სახანძრო განგაშის იმიტაცია.

ამჯერად სკოლა სრულად დაიცალა 2 წუთსა და 40 წამში.

At BGS, great importance is placed on maintaining safety standards. For this reason, fire drill simulations are conducted regularly on the school grounds.

This time, the entire school was successfully evacuated in 2 minutes and 40 seconds.



კინგსის ოლიმპიადა - ბიჯიესის წარმატებული მონაწილეები

“Kings” Olympiad – Outstanding Achievements by BGS Students

ლუკა კვირიკაძე - სამ საგანში (მათემატიკა, ქართული ენა, ინგლისური ენა) გახდა ოქროს მედლის მფლობელი;

Luka Kvirikadze won gold medals in three subjects: Mathematics, Georgian and English.

დავიდ გრეკოვი - ინგლისურ ენაში მოიპოვა ოქროს, ხოლო მათემატიკაში ვერცხლის მედალი;

David Grekovi earned a gold medal in English and a silver medal in Mathematics.

გაბრიელ სულაშვილი - მათემატიკაში გახდა ოქროს, ხოლო ქართულ ენაში ვერცხლის მედლის მფლობელი;

Gabriel Sulashvili won a gold medal in Mathematics and a silver medal in Georgian.

ნიცა ჯაბანაშვილი - მათემატიკაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

Nitsa Jabanashvili was awarded a bronze medal in Mathematics.

ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას!

We warmly congratulate our students on this remarkable achievement and wish them continued success!

წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.